



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება
ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: თინათინ გიორგაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: რიტა ნაკაშიძე

კვების დარგში ექსპერტი: თამარ ბერძენიშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: შოთა მახარაძე



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	446951790
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	საქართველო, ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 99ა
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ქობულეთი, კაიკაციშვილის N60



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 25 0000669737 ბრძანება, 16.06.2025 MES 3 25 0000872699 ბრძანების ცვლილება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 ივლისი, 2025 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ	
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.	



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ნაწილი პირველი, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში ნაწილი2, პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. „სასკოლო მზაობის პროგრამა“- თამაში-სწავლისა და	ქართული ენა		85 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

¹ აისახოს მხოლოდ პროგრამა/პროგრამები, რომელზეც მიითითება დწესებულების სტატუსის მადიებლს თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დემატუს ველები.



		განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. სასკოლო მზაობის პროგრამა „აქტივობათა კრებული“ ნაწილი I და ნაწილი II.			
--	--	---	--	--	--

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 14,15 და 16 ივლისს, MES 0 25 0000669737 ბრძანებისა და MES 3 25 0000872699 ბრძანების ცვლილების თანახმად, 16 და 17 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში (საიდენტიფიკაციო ნომერი: 446951790). ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: თინათინ გიორგაძე (ხარისხის ექსპერტი), რიტა ნაკაშიძე (კურიკულუმის ექსპერტი), თამარ ბერძენიშვილი (კვების დარგის ექსპერტი) და შოთა მახარაძე (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი). ვიზიტის მიმდინარეობა იყო კეთილგანწყობილი, თანამშრომლური. საჭიროებიდან გამომდინარე დღის წესრიგი შეიცვალა.

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა სხვადასხვა ასპექტი. ზოგ შემთხვევაში დაწესებულების თვითშეფასება და ექსპერტთა შეფასება ერთმანეთს არ დაემთხვა.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....



1. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა ²

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში” ნაწილი 1 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული საკობრივი ჯგუფებისათვის. ავტორები:ხ. დოლიძე, თ.ბაქრაძე, ნ.ჯიჯავაძე. საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020 წელი.

„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში” ნაწილი2 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული საკობრივი ჯგუფებისათვის. ავტორები:ხ. დოლიძე, თ.ბაქრაძე, ნ.ჯიჯავაძე. საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020წელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა” „ აქტივობათა კრებული”ნაწილი1. ავტორები: თ.ბაქრაძე, ო. მუსხელიშვილი, ე.ღვინერია, თ. გაბისონია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.2016 წელი. „სასკოლო მზაობის პროგრამა”

„აქტივობათა კრებული” ნაწილი2.ავტორები: თ.ბაქრაძე, ო. მუსხელიშვილი, ე.ღვინერია, თ. გაბისონია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.2016წელი.

„სასკოლო მზაობის პროგრამა” თამაში-სწავლისა და განვითარებისთვის აღზრდელის სახელმძღვანელო. ავტორები: ს.საიფერი, ი.ბალანჩივაძე, თ. ბაქრაძე, თ.გაბისონია, ნ. ლაბარტყავა, ნ.ფრუიძე, თ.ლორია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,გაეროს ბავშვთა ფონდი 2015წელი.

2. კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციისათვის დადგენილი სტანდარტის: დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმით N2 მტკიცდება, რომ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების მისიაა, „ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და ხარისხიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, პიროვნულ ზრდასა და პოტენციალის რეალიზაციას, მშობლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით“, რაც უშუალოდ უკავშირდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ასევე, აქცენტი კეთდება „თითოეული ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე, პიროვნულ ზრდასა და პოტენციალის რეალიზაციაზე“, რაც ასევე ადასტურებს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და განვითარებაზე ორიენტაციას.

მისიის ფარგლებში გაერთიანება საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც სივრცეს, რომელიც არა მხოლოდ აღზრდასა და განათლებას უზრუნველყოფს, არამედ აქტიურად უწყობს ხელს ბავშვის უსაფრთხოებას, ინკლუზიურობას და ჰოლისტურ განვითარებას. ტერმინები „ჰოლისტური განვითარება“, „პიროვნული ზრდა“ და „პოტენციალის რეალიზაცია“ პირდაპირ მიუთითებს კეთილდღეობაზე ორიენტაციას.

ამრიგად, ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცედ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ არის განსაზღვრული მისიიდან გამომდინარე და ლოგიკურად ავსებს ერთმანეთს, ქმნის თანმიმდევრულ სურათს დაწესებულების მიზნებისა და ფილოსოფიის შესახებ.

კერძოდ, „გაერთიანების ხედვაა, იყოს ლიდერი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში, რომელიც მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე და ქმნის საუკეთესო პირობებს ბავშვების ბედნიერი ბავშვობისა და ნათელი მომავლისათვის.“

ღირებულებები: ბავშვზე ორიენტაცია, უსაფრთხოება, ინკლუზიურობა, თანასწორობა, თანამშრომლობა, პროფესიონალიზმი.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები არა მხოლოდ განსაზღვრულია მისიიდან გამომდინარე, არამედ ორგანულად არის დაკავშირებული მასთან. მისია აყალიბებს ფუნდამენტურ დანიშნულებას, ხედვა წარმოაჩენს ამ დანიშნულების მიღწევის ამბიციას და მომავალ პოზიციონირებას, ხოლო ღირებულებები არის ის მამოძრავებელი ძალები და ეთიკური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს ამ მისიისა და ხედვის რეალიზაციისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტი იწყება დაწესებულების მისიის, ხედვის ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმით. ჩანს, რომ ამ დოკუმენტების შემუშავებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სხდომას ესწრებოდნენ:

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე – მარინა მანელიშვილი (დირექტორის მოადგილე)

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე - გიუზელ ნიჟარაძე (ქობულეთის №1 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი)

სამუშაო ჯგუფის მდივანი - ნესტან გოგიტიძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: გიუზელ ნიჟარაძე (განმეორებით), ინგა რიონიძე, თეა ცეცხლაძე, ინგა გიორგაძე, ნათია ლორია, სულხან ნიჟარაძე, ნათელა ემინაძე.

ირკვევა, რომ სამუშაო ჯგუფი შედგება გაერთიანების ადმინისტრაციული და საბალო ერთეულების წარმომადგენლებისგან/ხელმძღვანელებისგან. ეს უზრუნველყოფს შიდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. თუმცა, ამ დოკუმენტის მიხედვით, არ ჩანს სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი, როგორც ეს დამტკიცებული აქვს დაწესებულებას სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით) პირდაპირი ჩართულობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. ამრიგად, დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის იდენტიფიცირებას და მათ ჩართულობას სტრატეგიული გეგმის (რომლის ნაწილიც არის მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებაში. მოწოდებული დოკუმენტებით) ჩანს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია შიდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც გაერთიანების ხელმძღვანელი და ბაღების წარმომადგენლებისგან შედგება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციისათვის დადგენილი სტანდარტის: დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი N2 ადასტურებს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც გულისხმობს მის გაზიარებას ჯგუფის წევრებს შორის. ასევე, დაწესებულებას აქვს მკაფიო განზრახვა, „გაზიარდება დაინტერესებული მხარეებისათვის“ და გაწერილი მეთოდოლოგია კომუნიკაციის არხებით (მაგ., საჯარო შეხვედრები, ვებგვერდზე განთავსება და ა.შ.).

მეთოდოლოგია (დოკ. 2, მუხლი 8, პუნქტი 5) ითვალისწინებს "საჯარო განხილვების გზით" გაზიარებას, რაც საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. მოწოდებული დოკუმენტებით არის დადასტურებული, რომ ეს დოკუმენტები უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია (მაგალითად, დაწესებულების საჯარო სივრცეებში).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2;
2. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციისათვის დადგენილი სტანდარტის: დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმით N2 მისია, ხედვა, ღირებულებები;
3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, დამტკიცებული ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 19 მარტის N832.114250785;
4. 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 7 მაისის N832.11425127001;
5. ოქმი N4, 4.04.2025.

შეფასება:

1.1. დაწესებულების მისია

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---



1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტის სათაური და შინაარსი ადასტურებს, რომ დაწესებულებას აქვს დამტკიცებული და გაწერილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის მიერ, ბ32.114250785). ეს არის ფუნდამენტური მოთხოვნა ორგანიზაციული მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ეტაპებს, რაც გულისხმობს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განსაზღვრას. ეს მიუთითებს მოწესრიგებულ და სისტემატურ მიდგომაზე.

„სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევების გამოვლენასა და რეკომენდაციების განსაზღვრას“ - ეს ნათლად განსაზღვრავს მონიტორინგის მიზანს, რაც შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე მიუთითებს.

„სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში 2 წლის შემდეგ და 5 წლის ბოლოს.“ - ეს განსაზღვრავს მონიტორინგის სიხშირესა და ვადებს, რაც უზრუნველყოფს რეგულარულ შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დროულ რეაგირებას.

„სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები და ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასებისას მოხდება მიღწეული პროგრესის ანალიზი და ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძველი.“ - ეს პუნქტი ხაზს უსვამს შეფასების დანიშნულებას – არა მხოლოდ პროგრესის დაფიქსირებას, არამედ კორექტირების, გაუმჯობესებისა და მომავალი დაგეგმვის საფუძვლის შექმნას.

ამრიგად, დაწესებულებას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული, დროში გაწერილი და შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რაც მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმის ეფექტურობისა და დაწესებულების მუდმივი განვითარებისთვის.

„სტრატეგიული გეგმა შემუშავდება დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობით.“ - ეს აცხადებს დაწესებულების ვალდებულებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე. დეტალურად არის ჩამოთვლილი დაინტერესებული მხარეები (მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, გაერთიანების თანამშრომლები, ადგილობრივი თვითმმართველობა, და სხვა) - ეს აჩვენებს, რომ დაწესებულება გააზრებულად უდგება ჩასართავი მხარეების იდენტიფიცირებას. ასევე, გვთავაზობს ჩართულობის მრავალფეროვან ფორმებს, რაც ზრდის რეალური მონაწილეობის შესაძლებლობას. დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი პრინციპი და მეთოდები დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

ამრიგად, ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია არა მხოლოდ განსაზღვრავს გეგმის შემუშავების ეტაპებს, არამედ მოიცავს მკაფიო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს (სიხშირით, მიზნებითა და კორექტირების შესაძლებლობით) და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართულობას მრავალფეროვანი ფორმებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა(ა)იპ„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ" დოკუმენტი ეს მკაფიოდ მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი (2025-2030), რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას „არანაკლებ ხუთწლიანი“.

დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის შედეგები გამოიყენება გეგმის კორექტირებისა და მომავალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლად. ეს მიუთითებს ციკლურ მიდგომასა და მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობაზე.

სტრატეგიული მიზნები მკაფიოდ არის თავსებადი მისიაში გაცხადებულ პრინციპებთან. თითოეული სტრატეგიული მიზნის ქვეშ წარმოდგენილია კონკრეტული ამოცანები, რომლებიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიზნების მიღწევა.

ამოცანები გაწერილია კონკრეტული აქტივობებით, ვადებით, პასუხისმგებელი პირებით და მოსალოდნელი შედეგებით (ინდიკატორებით).

მაგალითად:

მიზანი 1: ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება.

ამოცანები მოიცავს: „გაერთიანების სტრუქტურაში არსებულ საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება", „დიდი ზომისა და წონის ავეჯის დამაგრება", „უსაფრთხოების ნორმების დაცვა", „სათამაშო მოედნების შემოწმება" და ა.შ.

ეს ამოცანები პირდაპირ ემსახურება მიზანს და, თავის მხრივ, მისიის „უსაფრთხო გარემოს" უზრუნველყოფას.

ამრიგად, სტრატეგიული მიზნების ქვეშ გაწერილი ამოცანები ლოგიკურად გამომდინარეობს მიზნებიდან და წარმოადგენს მათი მიღწევის კონკრეტულ გზებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანების დოკუმენტში მითითებულია, რომ ბრძანება ეფუძნება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „გ.ა“, „გ.გ“, „გ.ყ“ ქვეპუნქტებს" და "ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 07 მაისის ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ #32.11425127001 ბრძანებას.

ეს მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება და გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს გრძელვადიან მიზნებს (2025-2030 წლები), ხოლო სამოქმედო გეგმა ამ მიზნების მისაღწევად კონკრეტულ ერთწლიან ნაბიჯებს ასახავს. სამოქმედო გეგმის დაფუძნება დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებაზე: თვითშეფასების ფორმა წარმოადგენს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების ინსტრუმენტს. სტრატეგიული გეგმაც (რომელსაც ეფუძნება სამოქმედო გეგმა) თავის მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავს დაწესებულების საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, თვითშეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან საწყის ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმების ფორმირებაზე.

მოწოდებული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2025 წლის).

სამოქმედო გეგმა ცალსახად ეფუძნება და გამომდინარეობს 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

დაწესებულების თვითშეფასება, თუმცა პირდაპირ არ არის მითითებული როგორც სამოქმედო გეგმის საფუძველი, ლოგიკურად წარმოადგენს საკვანძო ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფს გეგმების რელევანტურობას დაწესებულების რეალურ საჭიროებებთან. თვითშეფასება კვებავს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც, თავის მხრივ, სამოქმედო გეგმის საფუძველია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმის პირველი სვეტი მოიცავს მიზანს, რომელიც კორელაციაშია სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებთან (მაგალითად, „ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება“).

თითოეულ სტრატეგიულ მიზანს თან ახლავს „ამოცანა“ და კონკრეტული „აქტივობა“. მაგალითად:

მიზანი: ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება

ამოცანა: დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/კეთილმოწყობა

აქტივობა: კოსმეტიკური რემონტის განხორციელება, ეზოს სივრცეებად დაყოფა; საჭვიშის გაახლება, საქანელების და სასრიალოს შეძენა.

დოკუმენტი აჩვენებს, რომ აქტივობები უშუალოდ უკავშირდება განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს, რაც მნიშვნელოვანია გეგმის თანმიმდევრულობისთვის.

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია „ინდიკატორის“ სვეტი. მაგალითად: აქტივობისთვის „კოსმეტიკური რემონტის განხორციელება...“:

ინდიკატორად მითითებულია „მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა“. მიუხედავად იმისა, რომ „მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა“ გარკვეულწილად გაზომვადია (ვიზუალური შემოწმებით), უფრო კონკრეტული, რაოდენობრივი ინდიკატორები (მაგალითად, „განახლებული ფართის კვადრატულობა“, „შემძენილი საქანელების რაოდენობა“, „გავლილი ტრენინგების რაოდენობა“)

გააუმჯობესებდა შეფასების სიზუსტეს. ზოგიერთ შემთხვევაში ინდიკატორი ან არასაკმარისად სპეციფიკურია, ან საერთოდ არ არის მკაფიოდ მოცემული. ინდიკატორების არსებობა დადებითია, თუმცა მათი გაზომვადობის ხარისხი განსხვავებულია და ზოგან გაუმჯობესებას საჭიროებს.

ყველა აქტივობასთან განხორციელების ვადად მითითებულია ერთი წელი. ვინაიდან სამოქმედო გეგმა ერთწლიანია, ერთი წელი ზოგადი ვადაა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აქტივობები წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. უფრო დეტალური ვადები (მაგალითად, კვარტალური, თვიური) გააუმჯობესებდა დაგეგმვასა და მონიტორინგს. ვადები მითითებულია, არის რეალისტური ერთწლიანი გეგმის კონტექსტში, წლის რომელ მონაკვეთში ივარაუდება კონკრეტული აქტივობის შესრულება, რაც აფერხებს მონიტორინგსა და შეფასებას.

სვეტები „პასუხისმგებელი ერთეული/პირი“ და „აღმნიშვნელოვანი რესურსი“ მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე. მაგალითად: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, საბავშვო ბაღი, ბაღების გაერთიანება“, „სამუშაოთა მწარმოებელი, თემი, მშობელი, საბავშვო“, „აღმზრდელი, მეთოდისტი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი“. პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული, რაც მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულებისა და შესრულების მონიტორინგისთვის.

სამოქმედო გეგმაში მითითებულია პოტენციური დაფინანსების წყაროები: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი“, „ბაღების გაერთიანება“. ადგილობრივი ბიუჯეტი და გაერთიანების სახსრები რეალისტური დაფინანსების წყაროა მუნიციპალური დაწესებულებებისთვის.

ამრიგად, სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და მათთან დაკავშირებული აქტივობები. არსებობს ინდიკატორების სვეტი, თუმცა მათი გაზომვადობა და კონკრეტულობა გაუმჯობესებას საჭიროებს ზოგიერთ შემთხვევაში. ერთწლიანი ვადები რეალისტურია გეგმის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, თუმცა უფრო დეტალური დაგეგმვა სასურველი იქნებოდა. პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული. დაფინანსების წყაროები და რესურსების საჭიროება მითითებულია და რეალისტური ჩანს, თუმცა უფრო დეტალური აღწერა სასარგებლო იქნებოდა. საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს კარგ ჩარჩოს სამოქმედო გეგმის მიზნების მისაღწევად, თუმცა ზოგიერთი კომპონენტის (განსაკუთრებით ინდიკატორებისა და რესურსების დეტალიზაციის, ვადების დაზუსტების) გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მის ეფექტურობასა და მონიტორინგის გამჭვირვალობას.

სამოქმედო გეგმის აქტივობებთან მხოლოდ წლის მითითება არ იძლევა მკაფიო ინფორმაციას, თუ როდის უნდა დაიწყოს და დასრულდეს კონკრეტული აქტივობა წლის განმავლობაში. ეს ართულებს დავალებების დროულ შესრულებას და პერსონალის მიერ პრიორიტეტების განსაზღვრას. როდესაც ზუსტი ვადები არ არის მითითებული, რთულდება პროგრესის რეგულარული მონიტორინგი. მაგალითად, თუ აქტივობა გათვლილია მთელ წელზე, შეუძლებელია იმის დადგენა, თვის ან კვარტლის ბოლოს რა პროგრესი უნდა იყოს მიღწეული.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ დააკონკრეტოს სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადები, რათა ისინი იყოს ზუსტი ან მიახლოებითი და მოიცავდეს უფრო კონკრეტულ დროის მონაკვეთებს, ვიდრე უბრალოდ წელი.

რჩევა

სასურველია, დაზუსტდეს ინდიკატორები, რათა გაზომვადობის ხარისხი გაუმჯობესდეს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც, დაწესებულება დააკორექტირებს სამოქმედო გეგმას, თითოეული აქტივობისთვის მიუთითებს განხორციელების კონკრეტულ პერიოდს, იმგვარად რომ შესაძლებელი იყოს პროცესის თვალყურის დევნება და მონიტორინგი, პერსონალისთვის პრიორიტეტების განსაზღვრა. წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსი, რეალისტური ვადა (ერთი თვე). აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს მონიტორინგის მიზანს – ეს არის პროგრესის შემოწმება, პრობლემების იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების მოძიება. ეს მიდგომა ორიენტირებულია შედეგებსა და მუდმივ განვითარებაზე. გაწერილია მონიტორინგის სიხშირე და ვადები (შუალედური და საბოლოო). ეს უზრუნველყოფს სისტემატურობას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება გეგმის კორექტირებისთვის (შუალედურად) და ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის (საბოლოო შეფასებისას). ეს ხაზს უსვამს შეფასების ციკლურ ხასიათს და მის მნიშვნელობას დაწესებულების განვითარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული და განვითარების გეგმების შესრულების შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობისა და მათი შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა შემდეგი:

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ში შემავალი ბაღები ყოველწლიურად ამზადებენ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველ 2-5 წელიწადში ერთხელ მზადდება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში. ეს ანგარიშები ქვეყნდება ბაღის სოციალური ქსელის გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროობას. დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გაზიარება ხდება გაერთიანების სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რითაც უზრუნველყოფილია პროცესების გამჭვირვალობა.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2 წლის შემდეგ) და 5 წლის ბოლოს. შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები, რაც დაწესებულებას აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მიზნებისა და ამოცანების კორექტირება.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზანია დაწესებულებების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, მისი განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და დასკვნების დეკლარირება. სტრატეგიული გეგმის შინაარსი ემსახურება სახელმწიფო სტანდარტების დაკმაყოფილებას და მისიის სრულყოფილად აღსრულებას, რაც ორიენტირებულია აღსაზრდელთა კეთილდღეობასა და განათლება/განვითარებაზე.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებსა და ინტერესებს, რისთვისაც ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განისაზღვრება დაინტერესებული მხარეები და უზრუნველყოფილია მათი ჩართულობა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავდა 5 წლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა თითოეული ბაღისთვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ აქტიურად იყენებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის, მათ შორის მიზნებისა და ამოცანების კორექტირებისთვის, და უზრუნველყოფს ამ შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობას სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნებითა და სხვა საკომუნიკაციო არხებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2;
2. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება №3211425134001
3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, დამტკიცებული ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 19 მარტის №32.114250785;
4. 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №32.11425127001.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში” ნაწილი 1 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული საკობრივი ჯგუფებისათვის. ავტორები: ხ. დოლიძე, თ.ბაქრაძე, ნ.ჯიჯავაძე. საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020 წელი.

„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში” ნაწილი 2 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული საკობრივი ჯგუფებისათვის. ავტორები: ხ. დოლიძე, თ.ბაქრაძე, ნ.ჯიჯავაძე.

საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020 წელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა” „აქტივობათა კრებული” ნაწილი 1. ავტორები: თ.ბაქრაძე, ო.მუსხელიშვილი, ე.ღვინერია, თ. გაბისონია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2016 წელი. „სასკოლო მზაობის პროგრამა”.

„აქტივობათა კრებული” ნაწილი 2. ავტორები: თ.ბაქრაძე, ო. მუსხელიშვილი, ე.ღვინერია, თ. გაბისონია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2016 წელი.

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველ ველ ივსება თითოეულ პროგრამისათვის ცალკეულად.

„სასკოლო მზაობის პროგრამა“ თამაში-სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. ავტორები: ს.საიფერი, ი.ბალანჩივაძე, თ. ბაქრაძე, თ.გაბისონია, ნ. ლაბარტყავა, ნ.ფრუიძე, თ.ლორია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი 2015წელი.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

.ა(ა)იპ “ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაშიში შემავალ საბავშვო ბაღებში პროგრამის განხორციელების მიზნის მიღწევისთვის შეირჩა და დამტკიცდა 2025 წლის 31 იანვარს ბ.32.114250313 ბრძანებით არეული განათლების კურიკულუმები.

ბრძანების შესაბამისად, 2-3, 3-4, 4-5 და შერეული ასაკობრივ ჯგუფებში დაწესებულება პროგრამის განსახორციელებლად ხელმძღვანელობს:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი 1, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, 2020, თბილისი.
 - ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი 2, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, 2020, თბილისი.
 - სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის, აღმზრდელის სახელმძღვანელო , 2015
 - სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი 1, (საპილოტე ვერსია) 2015;
 - სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი 2, (საპილოტე ვერსია: XI-XXX კვირა) 2016;
- წესებულებას კურიკულუმი წინასწარ აქვს შერჩეული, დამტკიცებული და გაზიარებული.
ბ.32.11425029001 29 იანვრის 2025 წლის ბრძანებით.

დაწესებულებას წინასწარ აქვს შექმნილი კურიკულუმის შერჩევა/შექმნის მეთოდოლოგია დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის №გ32.11425029001 ბრძანებით.

კურიკულუმის შერჩევის წესის მიხედვით იქნა ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა; დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს:

• „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“.

• „სასკოლო მზაობის პროგრამა „თ ა მ ა შ ი“

დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. კურიკულუმის მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება სახელმწიფო სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს. მიმართულებებით განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი განათლების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს

„ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“.
• „სასკოლო მზაობის პროგრამა „თ ა მ ა შ ი“

საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ხერხი არის თამაში. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის (დრამატული, კონსტრუქციული, სამაგიდო, ხელოვნება, წიგნიერება, მოძრაობა, სენსორული და სხვა) თამაშებში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შენობაში, ისე მის გარეთ. თამაში საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის, წარმართვის ძირითადი ხერხია. ბავშვი სწავლობს კეთებით, კვლევა-აღმოჩენით, ცდით, იდეების მოსინჯვით პროცესში აქტიური ჩართვით, ექსპერიმენტებით, იგი უკეთესად შეიმეცნებს სამყაროს საკუთარი გამოცდილებით. აღნიშნული კურიკულუმი/კურიკულუმები ითვალისწინებს ბავშვის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში ან არსებულ გეგმაში ცვლილებების შეტანაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი ითვალისწინებს მშობლის აქტიურ ჩართულობას ბავშვის ცხოვრებაში მათი სხვადასხვა როლით მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში: მასალების შეგროვება, აქტივობებში მონაწილეობა, ღონისძიებებში მონაწილეობა, ორივე კურიკულუმი ითვალისწინებს მშობლებთან რეგულარულ შეხვედრებს. ასევე, კურიკულუმი ითვალისწინებს თემის რესურსის გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში. კურიკულუმ „თამაშის“ მე-9 თავში საუბარია ოჯახთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ბავშვის საქმიანობის ეფექტურობასა და განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს შეჩეული კურიკულუმებით: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თ ა მ ა შ ი“

შერჩეული კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს და თამაშებს, როგორცაა: დრამატული და წარმოსახვითი, შემოქმედებითი, კვლევითი, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები. საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება ცენტრების საქმიანობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების ასაკისა და განვითარების შესაბამისად მრავალმხრივი უნარების გაძლიერებას. კურიკულუმი ითვალისწინებს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 29 იანვრის ბ32 11425029001 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც აღნიშნულია მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება, დაინტერესებული მხარეები:

ა) მშობლები; ბ) დაწესებულების პერსონალი; გ) თემი/მუნიციპალიტეტი; ირგვლივ არსებული დაწესებულებები და ორგანიზაციები.

დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ თანახმად წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების 28 აპრილის 2025 წლის ბ32. 114251184 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები (ჯგუფის ჩატი) გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე) სატელეფონო ზარები; ვ) ელექტრონული ფოსტა;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დამტკიცებული კურიკულუმი/ ბ32 11425049001, 18.02.2025
2. დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი ბ32 11425029001, 29.01.2025
3. . კურიკულუმის შერჩევისა და გაზიარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა ბ32114250292, 29.01.2025 .
4. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ 28 აპრილის 2025 წლის :ბ32. 114251184 ბრძანებით

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ „საგანმანათლებლო პროცესის დეგემგმის, შფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის,, დამტკიცების შესახებ 31 იანვრის 2025 წლის ბ.32. 114250314 ბრძანება .

მუხლი 3 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები);
2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი(ყოველკვირეული) და გრძელვადიანი(წლიური), რომლებიც შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს;
3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

ასევე, კურიკულუმიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროცესების წარმართვისათვის დამტკიცებულია გრძელვადიანი(ერთწლიანი) და მოკლევადიანი(ერთკვირიანი) გეგმები ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების 31 იანვრის 2025 წლის ბ. 32 114250317ბრძანებით. მოკლევადიანი (ერთკვირიანი) და გრძელვადიანი (ერთწლიანი) გეგმები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ გეგმა/ გეგმების პერიოდულობასა და ხანგრძლივობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის 31 იანვრის ბ.31. 114250314 ბრძანებით დამტკიცებული, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია გეგმა/გეგმების შემუშავების პროცესი 1.გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. რომელიც კომპლექტდება შერჩევითად, საგანმანათლებლო პერსონალის ნაწილით. 2.მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის 31 იანვრის ბ.31. 114250314 ბრძანებით, დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის თანახმად, დაწესებულებაში შექმნილი გეგმა/გეგმები მოიცავს შემდეგ კომპონენტს:

ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს რაც ვლინდება მოკლევადიან გეგმებში, სადაც გამოყოფილია ინდივიდუალიზაციისა და რეფლექსიური ჩანაწერის გრაფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილია მოკლევადიანი გეგმა, რომელიც შეიცავს ინდივიდუალიზაციას, რაც გულისხმობს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, ასევე, პორტფოლიოების შექმნის წესი გაწერილია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში." მუხლი 10. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები., ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, (მუსიკის მასწავლებლისა ლოგოპედის), მოიცავს იგივე სახის დოკუმენტაციას; ასევე „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში." დანართ N 1 წარმოდგენილია ბავშვის შეფასების ფორმა, რომელშიც აღნიშნულია ბავშვის შეფასების მიზანი: ბავშვზე დაკვირვება, ბავშვის ინტერესების გამოვლენა, ბავშვის საჭიროებების გამოვლენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების

2025 წლის 31 იანვრის ბ.31. 114250314 ბრძანებით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება

მუხლი 3 სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა. აღნიშნულ წესში იკითხება, რომ საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებულია სხვადასხვა ტიპის თამაშებზე.

ასევე ამავე წესში მუხლი 11 პუნქტი 2 რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა. აღნიშნულ წესში იკითხება რომ ტრანზიციები მიმდინარეობს თამაშის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: შემოქმედებითი თამაშები, მოძრავი თამაშები, მანიპულაციური თამაშები, სამაგიდო და წესებიანი თამაშები, დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, კვლევითი თამაშები, კონსტრუქციული თამაშები და სენსორული თამაშები. რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმის ფორმებში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტებით და ფიზიკური გარემოს მოწყობით (ცენტრებად) და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით.
 2. მოკლევადიანი გეგმის ფორმებში იკითხება ინდივიდუალური და ჯგუფურ თამაშებში ყოველდღიურად ჩართვის შესაძლებლობები, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმის ფორმებში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტებით, კერძოდ, თამაში მთელ ჯგუფთან, დილის შეხვედრა/საღამოს შეხვედრა. ხოლო ინდივიდუალური - სხვა დანარჩენი კომპონენტებით.
- რაც შეეხება ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობას ის დაყოფილია სხვადასხვა ცენტრებად: სენსორული ბილიკი, მოძრავი თამაშების ცენტრი, დრამატული ცენტრი, მოსასვენებელი სივრცე, სასრიალო, საქანელა, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული ბავშვი იყოს ჩართული სხვადასხვა ტიპის თამაშში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი. ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება 31 იანვრის 2025 წლის ბ.32. 114250314

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად. მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება, სადაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროცესის რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი სქემის სახით. პუნქტი 3 საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.

ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს: ა) მოგროვება; ბ) დონაცია; გ) დამზადება

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება 31 იანვრის 2025 წლის ბ.32. 114250314



დაწესებულებას არ აქვს კურიკულუმის შესაბამისი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის რესურსი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულება, მის მიერ განსაზღვრულ დროში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის პრინციპით ჯგუფების და გარე სივრცის მოწყობას, სადაც კარგადაა ორგანიზებული და მოქნილი შიდა და გარე სივრცეები, სადაც შესაძლებელია მრავალფეროვანი თამაში სხვადასხვა სივრცეში: დრამატული, სენსორული, კუბურების, წიგნიერების, მეცნიერების, მოსასვენებელი დიდი და მცირე შეხვედრების სივრცეები. სივრცეებში განაწილებული ავეჯი და რესურსი უნდა იყოს ბავშვებისთვის ხელმისაწვდომად მათ სიმაღლეზე. დაწესებულების ჯგუფური სივრცეები დაყოფილია ცენტრებად: დრამატული, სენსორული, კუბურების, წიგნიერების, მეცნიერების, მოსასვენებელი დიდი და მცირე შეხვედრების სივრცეები ავეჯი მშვიდ, პასტელურ ფერებში, ბავშვების სიმაღლის შესაბამისი.

ეზოს ფიზიკური გარემო არ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეზო არ არის დაყოფილი სივრცეებად, სადაც ბავშვები შეძლებენ სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ გარე სივრცის ფიზიკური გარემო მოაწყოს კურიკულუმის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებას ეზოს ფიზიკური გარემო არ აქვს მოწყობილი ცენტრებად, კურიკულუმის შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს რომ აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორობს 9 თვეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები – „ადრეული აღზრდის კურიკულუმი – თამაში 2-5 წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული – თამაში“ – განსაზღვრავენ საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური ორგანიზების სპეციფიკას, რაც მოიცავს ასაკზე, განვითარების დონესა და ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული რესურსების გამოყენებას როგორც შიდა, ისე გარე გარემოში. კურიკულუმები ხაზს უსვამს რესურსის ხელმისაწვდომობას, ფუნქციურობას, ბავშვზე ორიენტირებულობას და მათი გამოყენების ინტეგრირებას სხვადასხვა სახის თამაშსა და აქტივობაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას დაწესებულების ჯგუფური ოთახებში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, ჯგუფში არის როგორც ქარხნული ასევე მეორადი და ბუნებრივი რესურსი, რესურსი განლაგებულია ღია თაროებზე, კონტეინერებში, კონტეინერები და თაროები აღნიშნული იყო შესაბამისი მიმანიშნებლებით. აღნიშნული ცენტრებში რესურსი

ფუნქციის და შინაარსის მიხედვით არის გადანაწილებული. ავეჯი ბავშვების სიმაღლეზეა და მასზე განლაგებული რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის.

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა საგანმანათლებლო წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც მოცემული წიგნები ასაკის შესაბამისია. ეზოს ფიზიკური გარემო არ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ეზოში არ არის საქანელები, სასრიალო, სენსორული ბილიკი, ბოსტანი, ხელევენების სივრცე, მოსასვენებელი სივრცე. ეზოს ფიზიკურ გარემოში არ არის შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის თამაშების დაგეგმვა ბავშვებისათვის, რადგან არ არის ეზო მოწყობილი სივრცეებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცე საგანმანათლებლო რესურსით, რომელიც კურიკულუმის შესაბამისი იქნება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებას ეზოს ფიზიკური გარემო არ აქვს მოწყობილი ცენტრებად, კურიკულუმის შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს რომ აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორობს 9 თვეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია შერჩეული კურიკულუმების მოთხოვნების შესაბამისად. ჯგუფი დაყოფილია სივრცეებად: დრამატული, სენსორული, წიგნების, ხელოვნების, მეცნიერების, კონსტრუქციულ და მოსასვენებელ სივრცეებად, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს ჩაერთონ როგორც აქტიურ, ასევე, პასიურ საქმიანობებში.

ცენტრები ორგანიზებულია ისე, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ითამაშონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, მცირე თუ დიდ ჯგუფებში. ჯგუფური ოთახის სივრცეში გამოყოფილია შეხვედრების ზონა, რომელიც ხელს უწყობს მთელი ჯგუფის მონაწილეობით აქტივობების განხორციელებას. ეს განლაგება ქმნის შესაძლებლობას მრავალმხრივი თამაშების ორგანიზების, კერძოდ, როგორც პასიური, ისე აქტიური თამაშების.

ჯგუფში განთავსებულია სპეციალური სივრცე, რომელიც განკუთვნილია ბავშვის ინდივიდუალური დასვენებისა და განმარტებისათვის. ეს სივრცე აღჭურვილია ისე, რომ ბავშვებს შეეძლოთ დამოუკიდებლად, მშვიდ გარემოში დროის გატარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები - „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ განსაზღვრავენ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების აუცილებლობას, მისი ჰოლისტური განვითარებისთვის დაწესებულებაში დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები რეგულირდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების“³¹ იანვრის 2025 წლის ბ.32. 114250314 ბრძანებით.

დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) კითხვარები; გ.ჩეკლისტები. ამავე წესში აღნიშნულია, რომ შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა 19 მარტის ბ32. 114250782 ბრძანება ბავშვზე დაკვირვების ფორმა. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულებაში მოქმედებს აღნიშნული წესის მე-8 და მე-9 მუხლის მიხედვით.

5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარებას ყველა სფეროში;
- გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების"31 იანვრის 2025 წლის ბ.32. 114250314 ბრძანებით.

წესში გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მე-8 მუხლი.



დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) კითხვარები; გ) ჩეკლისტები
დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვზე დაკვირვების ფორმები. ბრძანებით დამტკიცებული დაკვირვების ჩანაწერის ფორმა, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, შეფასებას და დაგეგმვას, ასევე წარმოადგინა დამტკიცებული ჩეკლისტი, რომელშიც განსაზღვრულია ბავშვის ასაკი, განვითარების სფეროები და მისაღწევი შედეგები.

შეფასება ემსახურება:

- თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას
- თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას
- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას.

შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, მის ჰოლისტურ განვითარებას და კავშირშია ბავშვის განვითარების სტანდარტთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების 31 იანვრის 2025 წლის ბ.32. 114250314 ბრძანებით.

აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ 31 იანვრის 2025 წლის ბ.3211425031. დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ აღნიშნული წესის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.

დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების შეფასების შედეგების მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის გაცნობას. ბავშვის შედეგების განხილვა ხორციელდება ინდივიდუალურად.



აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N6. ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 31 იანვრის ბ32. 114250314 ბრძანებით ბ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი
2. ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით ბ.32 114250315 31.01.2025. დამტკიცებული განრიგი
3. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი ბ32.114251183 28.04.2025
4. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი (ვიზიტის დროს წარმოადგინა დაწესებულებამ).
5. დამტკიცებული კურიკულუმები ბ32 11425049001, 18.02.2025

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის ბ32.11425029001 ბრძანებით, რომლის თანახმადაც კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, კურიკულუმის სამუშაო ჯგუფში შედიან, საგანმანათლებლო პერსონალი.

29 იანვრის 2025 წლის ბ.32. 11425029001 ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შეფასების ჯგუფი

წესის შესაბამისად კურიკულუმის შეფასება ეფუძნება :

- საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას
- ფიზიკური გარემოს შეფასებას
- მშობლების უკუკავშირს
- პერსონალის თვითრეფლექსიას.

საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება: ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი; გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია; დ) მშობლების უკუკავშირი; ე) განხორციელებული აქტივობების ანალიზი; საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება: ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი; გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია; დ) მშობლების უკუკავშირი; ე) განხორციელებული აქტივობების ანალიზი;

გუიზიტის დროს, ინტერვიუზე გამოვლინდა, რომ აღმზრდელ-პედაგოგებს გაცნობილი აქვთ კურიკულუმის შეფასების წესი და იციან ვალდებულებები

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რაც დადასტურებულია, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის ბ32.11425029001 ბრძანებით. რომლის თანახმადაც კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის” მე-5 მუხლით რეგულირდება კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა და განვითარება. ცვლილებების განხორციელება ეფუძნება სამუშაო ჯგუფის მიერ გამოვლენილ მიგნებებს. ცვლილებები შეიძლება იყოს მასშტაბური ან წერტილოვანი.

ინდიკატორის მმოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“.
2. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
3. 2.საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის წესის შესახებ ზ32 114250784 19.03.2025.

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ზ 32. 114251184 ბრძანებით.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია.

მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს ,

დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან თანამშრომლობას

დაგეგმილი აქტივობები მოიცავს ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას

მუხლი 3 სამიზნე აუდიტორიის შერჩევა.

მუხლი 5 საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის საკომუნიკაციო გეგმები , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 მაისის ზ32 114251342 ბრძანებით.

რომელშიც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს წინასწარ დაგეგმილი აქტივობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მაგრამ არ აქვთ განსაზღვრული წინასწარ დაგეგმილი აქტივობები თემთან. ინდიკატორი მოითხოვს როგორც მშობლებთან, ასევე თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ დაგეგმილი აქტივობები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება არ დეთანხმა ხარვეზს. მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია, სადაც განაცხადეს, რომ მათ მიერ ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბ 32. 114251184 ბრძანებით დამტკიცებულ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში გაწერილი აქვთ თემის ჩართულობის სტრატეგიები, ასევე, დაწესებულება აცხადებს, რომ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქვს თემთან განსახორციელებელი აქტივობები. აღნიშნულ წესში არ იკითხება თემის ჩართულობის სტრატეგიები. ასევე, საკომუნიკაციო გეგმაში, თემი მოხსენებულია, როგორც გარე აუდიტორია და მოიაზრებს შემდეგს: სკოლა, ბანკი, სტომატოლოგიური კაბინეტი, აფთიაქი, საცხობი, სალონი, მაღაზია, სამკერვალო, ავეჯის სახელოსნო, კულტურის და იუსტიციის სახლი, მუზეუმი, თუმცა ეს ჩამონათვალი ვერ ადასტურებს თემთან განსახორციელებელ აქტივობებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ გეგმაში (ერთწლიან) გაწერილი აქვს სხვადასხვა აქტივობები: მშობელთა დღე, მშობელთა პროფესიების გაცნობა, ექსკურსიების მოწყობა, მეორადი და ბუნებრივი მასალის შეგროვება და ა.შ. რომელიც მშობლებს წაახალისებს კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მათ თანამონაწილეობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული, დაწესებულება როგორ წახალისებს თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს თემის ჩართულობის წახალისება კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებით მტკიცდება მშობელთა ჩართულობა დაა წახალისება კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში, ასევე, მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციაც ადასტურებს მშობლის ჩართულობასა და წახალისებას, მაგრამ მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და არგუმენტირებულ პოზიციაში არ იკითხება თემის წახალისება, რასაც მოითხოვს აღნიშნული ინდიკატორი. რაც ნიშნავს, რომ ინდიკატორის მხოლოდ ერთი კომპონენტია დაკმაყოფილებული, რაც ვერ ჩაითვლება ინდიკატორის სრულად დაკმაყოფილებად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 მაისის ბ32 114251342 ბრძანებით. აღნიშნული წესის თანახმად დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს:

- ა) პირისპირ შეხვედრები;
 ბ) საინფორმაციო დაფები;
 გ) მოკლე ტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი;
 დ) სოციალური მედიის პლატფორმები და დახურული ჯგუფები.
 დაწესებულებაში ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა შემდეგი: თანამშრომლები იცნობენ საკომუნიკაციო არხებს, ამ არხების გამოყენებით დაწესებულება შემდეგშიც აქტიურად გეგმავს საკომუნიკაციო არხების გამოყენებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, 2025 წლის 28 აპრილის ბ 32. 114251184 ბრძანებით
2. საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 მაისის ბ32. 114251342 ბრძანებით.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒



3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია *ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების* 2025 წლის 28 აპრილის ბ32. 114251184 ბრძანებით. ასევე წარმოადგინა ამ წესის დანართი 1-ით, საკომუნიკაციო გეგმა რომელიც დამტკიცებულია *ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების* 2025 წლის 14 მაისის ბ32. 114251342 ბრძანებით, აღნიშნული საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს, ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ისეთი თემების შესახებ, როგორცაა ბავშვთა უფლებები.

აღნიშნული ინდიკატორი, ასევე, მოითხოვს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. რაც აღნიშნულ დოკუმენტში არ იკითხება.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლება, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო წესში და გეგმაში გაწერილია აქტივობები: ბავშვთა უფლებების და რეფერირების შესახებ მშობელთა ცნობიერების ამაღლება, რასაც დაწესებულებაც ადასტურებს წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში. აღნიშნული ინდიკატორი მოითხოვს როგორც ბავშვის უფლებებზე ასევე ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების სპეციფიკაზე ცნობიერების ამაღლებას. რომელიც აღნიშნულ დოკუმენტში და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში არ იკითხება. რაც ნიშნავს, რომ ინდიკატორის მხოლოდ ერთი კომპონენტი დაკმაყოფილებული, რაც ვერ ჩაითვლება ინდიკატორის სრულად დაკმაყოფილებად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 31 იანვრის ბ32. 114250314 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელშიც აღნიშნულია: „მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა. 1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას: ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

მუხლი 10. პუნქტი 3. დაწესებულებას გაწერილი აქვს რა ტიპის დოკუმენტაციას უზიარებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს: „ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ბავშვის დაკვირვების ჩანაწერს, ბავშვის შეფასების ჩანაწერს, ბავშვის ნამუშევრებს, ნამუშევრის ფოტოებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 28 აპრილის ბ 32. 114251184 ბრძანებით, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის, დაწესებულების მიერ დაგეგმილი თემის რესურსის გამოყენება არასაკმარისია, რაც ვერ უზრუნველყოფს თემის ჩათულობას კურიკულუმის განხორციელებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გამოიყენოს თემში არსებული რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი და საკომუნიკაციო გეგმა სადაც გაწერილია მხოლოდ ერთი აქტივობა, რომელშიც თემის რესურსია გამოყენებული „გასეირნება- ბოტანიკური ბაღი, ვარდების ფესტივალი, „ , რაც ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას თემში არსებული რესურსის გამოყენებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, 2025 წლის 28 აპრილის ბ 32. 114251184 ბრძანებით

რომლის მიხედვითაც ოჯახთან/ თემთან განხორციელებულ აქტივობების შესაფასებლად, დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს: ა) ღია შეხვედრები; ბ) ელექტრონული კითხვარები;
ამ არხებით შეგროვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგენილ საჭიროებებზე ახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, 2025 წლის 28 აპრილის ბ 32. 114251184 ბრძანებით
2. საკომუნიკაციო გეგმები , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 მაისის ბ32. 114251342 ბრძანებით.
3. ინდ, შეხვედრა მშობელთან, თანხმობა ფოტო მასალის გადაცემაზე

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ აქვს დამტკიცებული ორგანოგრამა, რომელშიც გაწერილია დაწესებულების შემადგენლობა და იერარქია. ასევე, დაწესებულებას აქვს დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. დოკუმენტის მე-2 მუხლი დეტალურად აღწერს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებს (ორგანიზაციის გაცნობა, გუნდთან ინტეგრაცია, ტრენინგები, მიზნების განსაზღვრა, რესურსებზე წვდომა, მონიტორინგი). ეს მიუთითებს დაწესებულების მზაობაზე, უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების სწრაფი და ეფექტური ჩართვა საქმიანობაში. დოკუმენტში საუბარია ტრენინგების/სასწავლო კურსების უზრუნველყოფაზე, რაც ხელს უწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და შენარჩუნებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მდგრადი ფუნქციონირებისთვის. აღნიშნულია, რომ ახალი თანამშრომელი ინფორმირებულია თავისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობების, უსაფრთხოების წესებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ. ეს უზრუნველყოფს მოვალეობების სიცხადეს და ხელს უშლის ფუნქციურ გადაფარვას ან ხარვეზებს. დოკუმენტი აღნიშნავს, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების“ შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ პერსონალის დაკომპლექტება ხდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც საფუძველია მდგრადი და ხარისხიანი ფუნქციონირებისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რაც მოიცავს მოთხოვნებს ინკლუზიურ განათლებასთან და ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს, რომ დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს პერსონალი, რომელსაც შეუძლია ამ საჭიროებების იდენტიფიცირება და სათანადო რეაგირება.

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

შინაგანაწესი და მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგი ერთმანეთს შეესაბამება. ბაღში არის 7 ჯგუფი და დასაქმებულია 20 აღმზრდელი. მთელი დღის მანძილზე ჯგუფში 3 აღმზრდელი 6 ჯგუფში, ხოლო 2 აღმზრდელი 1 ჯგუფში მუშაობს. ინტერვიუთი დადგინდა, რომ ორ აღმზრდელს ჯგუფში მუშაობისას 10:00 საათიდან უწყვილდება დამხმარე აღმზრდელი ისე, რომ ერთდროულად იყვნენ ჯგუფში. თუმცა ამასთან, კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ განსაზღვრავს, რომ ჯგუფში აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგის თანაფარდობას ბავშვების რაოდენობასთან დაცულია. თანამშრომელთა რაოდენობა დგინდება პერსონალის დანიშვნების ბრძანებით, რომელშიც მითითებულია დასაქმების ლოკაცია. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პირებს დანიშვნის ბრძანებებში პოზიციებად აქვთ განსაზღვრული აღმზრდელ-მასწავლებლის პოზიციები. აღმზრდელ-მასწავლებლებად დაწესებულება მოიხსენიებს პირებს, რომლებსაც გავლილი აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურული ორგანოგრამის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და შინაგანაწესის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრულია: დოკუმენტი ადასტურებს, რომ დაწესებულებას აქვს ოფიციალურად დამტკიცებული სტრუქტურა. ბრძანების ტექსტიდან ჩანს, რომ სტრუქტურის არსებობა მიზნად ისახავს ფუნქციური და ადმინისტრაციული დანაწილების მოწესრიგებას. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციული იერარქია და ძირითადი ერთეულები განსაზღვრულია.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი აძლიერებს ზემოხსენებულ დასკვნას. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში არის აღნიშნული, რომ ახალ თანამშრომლებს ეცნობათ „მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“. სამუშაო აღწერილობების არსებობა კი მტკიცებულებაა იმისა, რომ თითოეული პოზიციისთვის ფუნქციები, მოვალეობები და უფლებამოსილებები მკაფიოდ არის გაწერილი.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ამას ადასტურებს დამტკიცებული სტრუქტურული ორგანოგრამის არსებობა, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში სამუშაო აღწერილობების არსებობაზე მითითება და შინაგანაწესში ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დეტალური აღწერა. ეს ყველაფერი ქმნის მართვის გამჭვირვალე და ეფექტურ სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან კვალიფიკაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ძირითადი მტკიცებულება არის „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“ მეორე პუნქტი, რომელშიც მითითებულია, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს მთავრობის დადგენილება №478-ით აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს აღმზრდელ-პედაგოგის განათლებას, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლებს, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესს, აღმზრდელ-პედაგოგის უწყვეტ პროფესიულ გაწათლებასა და თვითგანვითარებას.

ყველა პოზიცია, რომელიც აქტიურია ბაღსა და გაერთიანებაში, გაწერილია შინაგანაწესში და დასტურდება პირადი საქმეებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვებთან უშუალო შეხებაში მყოფ პერსონალს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომ უზრუნველყოს ნებისმიერ სიტუაციაში ადეკვატურად რეაგირება. 5 აღმზრდელს, ექთანსა და ხელმძღვანელს გავლილი აქვთ პირველადი დახმარების საბაზისო კურსი შემდეგი ორგანიზაციისა: ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტების (ორგანოგრამა, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შინაგანაწესი) ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად.

შინაგანაწესით დაწესებულება არეგულირებს შიდა წესებსა და ურთიერთობებს. ის მოიცავს საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესს, რაც პერსონალის მართვის არაპირდაპირი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან აღმზრდელები ამ საბჭოს წევრები არიან და მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი და დამტკიცებული შიდა რეგულაციები (პერსონალის მართვის დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამუშაო აღწერილობები), რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პერსონალის მართვის პროცესები სისტემატიზებულია და ხორციელდება დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პერსონალი ინიშნება ბრძანებით, ხოლო შინაგანაწესი არეგულირებს ფუნქცია-მოვალეობებს. შინაგანაწესით რეგულირდება საბავშვო ბაღის მუშაობის დღის განრიგი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება, შრომის ანაზღაურება, დასაქმებულის სამსახურში გამოუცხადებლობა, დაგვიანება და/ან ადრე წასვლა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა. ასევე, დამტკიცებული არის ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2024 წლის 05 აპრილის #ბ32.114240962 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობების სამუშაო აღწერილობებს (უფლება-მოვალეობებს). დოკუმენტით განსაზღვრულია თანამდებობების სამუშაო აღწერილობები, განათლება, სამუშაო გამოცდილება.

არასაკონტაქტო საათებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ განისაზღვრება საჭიროებისამებრ. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის #ბ32.114251144 ბრძანებით დამტკიცებულია გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალისთვის საკონტაქტო-არასაკონტაქტო მუშაობის განრიგის ფორმა, რომელიც კონკრეტული ბაღის საჭიროებისამებრ ივსება.

დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს პერსონალთან ხელშეკრულებების გაფორმება 4 თვის ვადაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ აღმზრდელთან გააფორმოს ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

პროცედურები მოიცავს ღია კონკურსს და ცხადდება ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში. მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსი მოიცავს ეტაპებს, როგორიცაა ვაკანსიის განაცხადის მომზადება, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა, კომისიის ფორმირება, ინფორმაციის გავრცელება, განაცხადების შემოწმება და კანდიდატთა შეფასება. ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე.

კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება შეიცავს დაწესებულების დასახელებას, შესასრულებელ სამუშაოს, გამოსაცდელ ვადას, ვაკანტური ადგილების რაოდენობას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შრომითი ურთიერთობის სახესა და ვადას, განცხადების წარდგენის ვადას, კანდიდატების შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს, გადაწყვეტილების მიღების ფორმასა და ვადებს, და სხვა ინფორმაციას.

განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება არანაკლებ 5 კალენდარული დღით.

კონკურსის ჩასატარებლად იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო კანდიდატთა შერჩევას. კომისია აფასებს კანდიდატებს ობიექტურად, მიუკერძოებლად და თანმიმდევრულად, განსაზღვრული შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების საფუძველზე. არსებობს საპრეტენზიო/სააპელაციო კომისია კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განსახილველად.

დახურული კონკურსი შესაძლებელია გამოცხადდეს დირექტორის გადაწყვეტილებით ღია კონკურსის ნაცვლად. მასზე ვრცელდება ღია კონკურსისთვის დადგენილი წესები.

პირდაპირი დანიშვნა: დირექტორის გადაწყვეტილებით პირი შესაძლებელია დაინიშნოს ვაკანტურ თანამდებობაზე პირდაპირი გზით. პირდაპირი დანიშვნისას დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის სამუშაო აღწერილობას. კანდიდატთან ტარდება გასაუბრება.

გარდა ამისა, დოკუმენტი ხაზს უსვამს სამუშაო აღწერილობების მნიშვნელობას: თითოეული პოზიციისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს თანამდებობის დასახელებას, ფუნქციებს, პასუხისმგებლობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ანგარიშვალდებულებას. ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის. კვალიფიკაციის მოთხოვნებს: პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სამართლებრივ აქტებსა და კონკრეტული პოზიციისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას: დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე, რაც მოიცავს ორგანიზაციის გაცნობას, გუნდის წევრებთან შეხვედრას, ტრენინგებს, მიზნების განსაზღვრას, საჭირო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას და მონიტორინგის სისტემის არსებობას.

ეს პროცედურები მიზნად ისახავს უზრუნველყოს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება, ობიექტური და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე, რათა შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა და ორგანიზაციის ღირებული წევრი გახდეს.

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიისა და სტრუქტურის გაცნობა. ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან. ტრენინგებისა და სასწავლო კურსების უზრუნველყოფა. მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა. საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა. ამ წესის, შინაგანაწესის, სამუშაო აღწერილობისა და უსაფრთხოების წესების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება.

დაწესებულებაში მონიტორინგის სისტემა არსებობს, რომლის თანახმადაც გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ცოდნასა და გამოცდილებას ახალ თანამშრომელს, რათა დაეხმაროს მას სწრაფად ადაპტირებაში.

დაწესებულება აწარმოებს დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც ინტერვიუებით დადგინდა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებით. თანამშრომლებს ერთ გუნდად აქცევს საერთო მიზანი, საერთო მისია. ამის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ პროექტებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვისას დაწესებულების კოლექტივი ამჟღავნებს ერთსულოვნებასა და თანაბარ ჩართულობას, რაც არაერთი რესპონდენტის ნაუბრით დადასტურდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გააჩნია როგორც ზოგადი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, ასევე, დეტალური „პროფესიული განვითარების გეგმა 2024-2025 წლებისთვის“ და „პერსონალის განვითარების შესაბამისობის გეგმა 2025 წლისთვის“. ეს გეგმები მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას, თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას ყოველდღიურ საქმიანობაში.

„პროფესიული განვითარების გეგმა“ პირდაპირ მიუთითებს „საჭიროებების კვლევის“ არსებობაზე, როგორც ადამიანური რესურსის მომზადება/გადამზადების და შრომის მოტივაციის ამაღლების მიღწევის გზაზე. ეს გულისხმობს, რომ დაწესებულება აქტიურად იკვლევს თანამშრომელთა განვითარების საჭიროებებს.

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“ მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს „სამუშაოს მართვის“ მიმართულებას, რომელიც აერთიანებს „შესრულებული სამუშაოს შეფასების“ და „პროფესიული განვითარების“ პროცესებს. ეს მიუთითებს, რომ შესრულებული სამუშაოს შეფასება არის პროფესიული განვითარების განუყოფელი ნაწილი.

ტრენინგები და აქტივობები: გეგმებში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, როგორიცაა: აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულები, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგები და სიმულაციური წვრთნები, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის საბაზისო კურსი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის შიდა ტრენინგები და მშობლებთან შეხვედრები, შეხვედრები ეფექტურ კომუნიკაციაზე ბავშვებთან და ოჯახებთან, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების ცოდნის გაუმჯობესება სიმულაციებისა და შიდა ტრენინგების მეშვეობით.

გეგმებში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები (მაგ., მეთოდისტი, დირექტორი, მედდა, მზარეული, ძიძა, დამლაგებელი) და საჭირო რესურსები, მათ შორის ფინანსური და ადამიანური რესურსები, რაც უზრუნველყოფს აქტივობების განხორციელებას.

პროფესიული განვითარების სტრატეგიული მიზნისთვის (საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციების ამაღლება) გათვალისწინებულია შესრულების ინდიკატორები, როგორიცაა ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, შეხვედრების ოქმები, სერტიფიკატები, ფოტო-ვიდეო მასალა და პერსონალის განვითარების გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება აქტიურად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ახორციელებს საჭიროებების მოკვლევას და აფასებს საქმიანობას ამ მიზნით, რაც ხელს უწყობს თითოეული თანამშრომლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მუდმივ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„პერსონალის განვითარების შესაბამისობის გეგმა“ აჩვენებს, რომ „საბავშვო-ბაღის განათლების ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია პერსონალის კვალიფიკაციასა და პროფესიულ მზაობაზე“. ეს მიდგომა მიუთითებს საჭიროების გააზრებაზე და სისტემური განვითარების აუცილებლობაზე.

„პერსონალის განვითარების შესაბამისობის გეგმა“ განსაზღვრავს განვითარების ძირითად მიმართულებებს, როგორცაა: „ადრეული განვითარების ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლება, კომუნიკაცია, უსაფრთხოება და ემოციური კეთილდღეობა“. ეს მიმართულებები აშკარად გამომდინარეობს სკოლამდელი განათლების დაწესებულებისთვის აქტუალური საჭიროებებიდან.

„პროფესიული განვითარების გეგმა“ მოიცავს კონკრეტულ საჭიროებებს, როგორცაა: „პროფესიული განვითარება“, „ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“, „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“ და „ეფექტური კომუნიკაცია“.

„პერსონალის განვითარების შესაბამისობის გეგმა“ დეტალურად აღწერს თითოეული საჭიროებისთვის საჭირო უნარებსა და პრინციპებს (მაგალითად, ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, ეფექტური კომუნიკაციის უნარები, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვისთვის საჭირო ცოდნა). ეს ადასტურებს, რომ საჭიროებები სიღრმისეულად არის გააზრებული და მათზე დაყრდნობით ხდება განვითარების მიმართულებების შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის განვითარების გეგმა“, რომელშიც მკაფიოდ არის გამოხატული პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერა.

გეგმის მიზანი: გეგმა პირდაპირ მიზნად ისახავს აღმზრდელების, დამხმარე პერსონალისა და ადმინისტრაციის უნარების გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით. დოკუმენტით დასტურდება, რომ საბავშვო ბაღის განათლების ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია პერსონალის კვალიფიკაციასა და პროფესიულ მზაობაზე, და ხაზს უსვამს თანამშრომლების მუდმივი განვითარების მნიშვნელობას.

იდენტიფიცირებული საჭიროებები და აქტივობები: დოკუმენტი ასახავს კონკრეტული საჭიროებების ცხრილს და მათ შესაბამის აქტივობებს. მაგალითად:

აქტივობა: შიდა ტრენინგი „თამაშები და აქტივობები“ (ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა).

აქტივობა: შეხვედრა „ეფექტური კომუნიკაცია ბავშვთან და ოჯახთან“ (კომუნიკაციის გაუმჯობესება).

აქტივობა: მიწისძვრის, ხანძრის სიმულაცია (უსაფრთხოების სტანდარტების ცოდნის გასაუმჯობესებლად).

აქტივობა: სასწავლო-თამაშები და აქტივობები ასაკობრივ ჯგუფებში (პედაგოგიური მეთოდების გამრავალფეროვნება)...

დოკუმენტში ჩამოთვლილია მიზნები, რომლებიც ფოკუსირებულია პერსონალის განვითარებაზე:

პერსონალის პროფესიული კომპეტენციების ამაღლება;

ეფექტური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება;

ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა;

უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვა;

მშობლებთან ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესება.

ამრიგად, დაწესებულება თავის მზაობას პერსონალის განვითარების მიმართ წარმოაჩენს გაუმჯობესების სფეროების მკაფიო იდენტიფიცირებით, კონკრეტული აქტივობების (ტრენინგები, შეხვედრები, სიმულაციები) დაგეგმვით და პასუხისმგებელი პირების, ვადებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრით. ასევე, გათვალისწინებულია გეგმის კორექტირება უკუკავშირისა და განათლების სტანდარტების ცვლილებების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების ორგანოგრამა;
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
3. თანამდებობების სამუშაო აღწერილობები (უფლება-მოვალეობები), ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2024 წლის 05 აპრილის #32.114240962 ბრძანება;
4. საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალისთვის საკონტაქტო-არასაკონტაქტო მუშაობის განრიგის ფორმა, ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის #32.114251144 ბრძანება;
5. „პროფესიული განვითარების გეგმა“;
6. პერსონალის პირადი საქმეები;
7. პერსონალის დანიშვნის აქტები;
8. „პერსონალის განვითარების შესაბამისობის გეგმა 2025 წლისთვის“.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ მიმდინარე პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის წესის მიხედვით, დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

დაწესებულების პროცესები იყოფა:

მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა. ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროცესები: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება. ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა). სსსმ ბავშვების მომსახურება. ოჯახთან და თემთან ურთიერთობა.

დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვა. მატერიალური რესურსის მართვა. საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა). პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა. ფინანსური რესურსების მართვა. სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის მართვა. ბავშვთა კვების პროცესის მართვა. სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ეს დოკუმენტი ადგენს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალსა და მათ აღმწერებს, ასევე განსაზღვრავს ამ პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და მათი აღმწერები წარმოდგენილია ამ დოკუმენტის დანართი №1-ის სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, კერძოდ, დემინგის „PDCA“ სქემის შესაბამისად. ეს სისტემა ეფუძნება თვითშეფასებას, რაც გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი უზრუნველყოფს მიღწევების შენარჩუნებას და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებელი გეგმის შემუშავებას.

ციკლის ეტაპები შემდეგნაირად არის აღწერილი:

დაგეგმვა (Plan): ამ ეტაპზე ხდება პროცესების დაგეგმვა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. განისაზღვრება ღონისძიებების სიხშირე, კონკრეტული მიზნები, რესურსები და მათი მიღწევის სტრატეგიული ქმედებები.

განხორციელება (Do): ამ ეტაპზე იწყება დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროცესების შესრულება.

შეფასება (Check): ეს ეტაპი მოიცავს განხორციელებული პროცესების შედეგების გაანალიზებას, ხარვეზების აღმოჩენას, პრობლემების განხილვას, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას და დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენას. ასევე ფასდება, თუ როგორ შესრულდა წინასწარ დაგეგმილი აქტივობები და ანალიზდება წარუმატებლობის მიზეზები (დაგეგმვის ან შესრულების ეტაპზე დაშვებული ხარვეზები).

გაუმჯობესება (Act): ამ ეტაპზე ხდება შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და რეკომენდაციების შემუშავება. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მარეგულირებლების, დოკუმენტების და შეფასების ინსტრუმენტების განახლება. ერთი ფაზის დასრულების შემდეგ იწყება ციკლის შემდეგი ფაზა, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას.

დაწესებულება ასევე ახდენს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რაც მოიცავს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას/უკუკავშირს. პროცესები იყოფა დაბალ, საშუალო და მაღალ რისკ-ფაქტორებად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა (1, 2, 3 ქულა). პირველ ეტაპზე ყურადღება მაღალ რისკ-ფაქტორებზე მახვილდება. ამ ანალიზის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას. დაწესებულებას ამჟამად არ ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა გეგმავს, რომ სამომავლოდ პასუხისმგებელი პირის ყოლას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ ბავშვების ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანებით №32.114251186.

ძირითადი პრინციპები:

კანონიერება: პროცესი ემყარება კანონმდებლობას.

თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა: უზრუნველყოფილია ყველა ბავშვის თანაბარი მოპყრობა.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება: პროცესი ღიაა და მოიცავს ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

თემის/რეგიონის საჭიროებების გათვალისწინება: ითვალისწინებს ადგილობრივი თემის საჭიროებებს.

მართვის მოქნილობა და ეფექტიანობა: პროცესი მოქნილი და ეფექტურია.

პროცესის განხორციელების ფორმა: ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი ადმინისტრირდება მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი განცხადებების გამოყენებით. შევსებული განაცხადები მიიღება დაწესებულებაში ფიზიკურად მისვლით. რეგისტრაციის დასტური ან მომლოდინეთა სიაში მოხვედრის შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ SMS შეტყობინებით.

ჩარიცხვის ეტაპები:

რეგისტრაცია: ბავშვების რეგისტრაცია ხდება დაწესებულებაში შევსებული განცხადების საფუძველზე.

ჩარიცხვა: რეგისტრირებული ბავშვების ჩარიცხვის ეტაპზე, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებისთვის მშობელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

განცხადება დირექტორის სახელზე.

ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი.

ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა.

ბავშვის ფოტოსურათი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში - შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების დასკვნა/რეკომენდაცია.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ინფორმაცია.

წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე.

წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის).

ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.

ამორიცხვის საფუძველები:

ბავშვის ამორიცხვა ხორციელდება დადგენილი წესით. ამორიცხვის საფუძველი შეიძლება იყოს:

ბავშვის გამოუცხადებლობა 10 დღეზე მეტი ხნით არასაპატიო მიზეზით.

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებისთვის ბავშვისთვის 6 წლის ასაკის შესრულება (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა).

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

გაცდენები საპატიოდ ჩაითვლება, თუ მშობელი წინასწარ აცნობებს დაწესებულებას და მიზეზი დაკავშირებულია ბავშვის ჯანმრთელობასთან,

ქვეყნის/მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დროებით დატოვებასთან, ან ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიღებულ

დასაბუთებულ გადაწყვეტილებასთან. მშობელი ვალდებულია საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი პირველივე

შესაძლებლობისთანავე წარმოადგინოს დაწესებულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცდენა არასაპატიოდ ჩაითვლება.

გადაყვანა: ბავშვის გადაყვანა ერთი საბავშვო ბაღიდან მეორეში ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, თუ მიმღებ ბაღში თავისუფალი ადგილია და არსებული ბაღიდან ბავშვი ამოირიცხება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ აწარმოებს როგორც ბავშვების, ისე პერსონალის პირად საქმეებს.

ბავშვების პირადი საქმეები:

ბავშვების პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება ბავშვის ჩარიცხვის პროცესის ფარგლებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციით, როგორიცაა განცხადება, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა, ფოტოსურათი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში), მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო ინფორმაცია, წერილობითი ნებართვები ფოტო/ვიდეო გადაღებაზე და ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე, ასევე ინფორმაცია ქრონიკული დაავადებების შესახებ, გროვდება და სისტემატიზდება ბავშვის პირად საქმეში.

პერსონალის პირადი საქმეები:

მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებულ დოკუმენტებში კონკრეტულად არ არის დეტალურად აღწერილი პერსონალის პირადი საქმეების წარმოების პროცედურები, მითითებულია, რომ "ადამიანური რესურსების მართვა" არის დამხმარე პროცესი დაწესებულებაში. ეს გულისხმობს,



რომ პერსონალთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის პირადი საქმეები, მართული და ორგანიზებულია, რაც მოიცავს დასაქმებულთა მონაცემების, ხელშეკრულებების, განათლების, კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში (ბავშვებისა და პერსონალის) დაწესებულება აწარმოებს პირად საქმეებს, აქვს შემუშავებული პირადი საქმეების წარმოების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა დამტკიცებული საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №32.114251185 ბრძანებით;
2. ბავშვების ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესი დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანებით №32.114251186;
3. პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

4.2 პროცესების მართვა



შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღში არ არის გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი. არის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის სივრცე აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით, ბაღში დასაქმებულია მედდა, რომელსაც აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. მედდა აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს გახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას.

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ მიმდინარე პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის წესის მიხედვით, დაწესებულების დამხმარე პროცესებს შორის მოხსენიებულია „პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება აღიარებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორც მისი ოპერაციების განუყოფელ ნაწილს.

2025 წლის 8 მაისის წერილში, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას გაეგზავნა, აღნიშნულია, რომ საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობა და ეზო სრულად ვერ აკმაყოფილებს ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და საჭირო ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ასევე ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს. ხაზგასმულია, რომ ყოველ საბავშვო ბაღში უნდა იყოს დაცული სახანძრო

უსაფრთხოების ნორმები, რაც მოიცავს სავსაქმეო გეგმას, სახანძრო უსაფრთხოების დაფას, ცეცხლმაქრებს, ცეცხლდამცავი შემაღენლობით დამუშავებულ სასხვენო გადახურვის კონსტრუქციებს, და ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის სისტემას. აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ 2017 წლის შემოწმებისას ყველა ბაღში დაფიქსირდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევები, რაზეც გაიცა მიწერილობა და განისაზღვრა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, საბავშვო ბაღების გაერთიანებამ მერიას მიმართა და მოითხოვა შესაბამისი სამსახურების დავალება, რათა შეისწავლონ არსებული მდგომარეობა და მოხდეს შემდგომი რეაგირება ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ 2025 წლის 19 მაისს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართა საბავშვო ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევისა და სათანადო ინვენტარის არქონის შესახებ. მერიამ სთხოვა სამსახურს, დაიწყო საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის მოკვლევა და შესწავლა, რათა ისინი ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს შეესაბამებოდნენ.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გაცხადებული აქვს ბავშვებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის პროცესი, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არსებული ხარვეზები მიუთითებს, რომ საგანგებო სიტუაციებში რეაგირების უზრუნველყოფა ამ ეტაპზე სრულად არ არის დაფარული. დაწესებულება აქტიურად მუშაობს ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად და ამისთვის ადგილობრივ მმართველობასთან თანამშრომლობს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის 15 ივნისისთვის აღნიშნული საკითხი მოვა სტანდარტთან შესაბამისობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოიყვანოს შესაბამისობაში სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო მართვის გეგმა და სახანძრო აღჭურვილობა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

წარმოდგენილი დოკუმენტის „საბავშვო ბაღში მცენარეების ჩამონათვალი“ მიხედვით, დაწესებულების შენობაში არ არის მცენარეები, ეზოს ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ უნდა წარმოადგენდნენ საფრთხეს ბავშვისა და პერსონალის ჯანმრთელობისთვის, ყოველ შემთხვევაში, ალერგიის კუთხით.

დოკუმენტი მოიცავს ორ სვეტს: „მცენარის სახელწოდება“ და „ინფორმაცია“.

თითოეული მცენარის გასწვრივ ინფორმაცია სვეტში მითითებულია: „არ არის ალერგიული“. დოკუმენტი ხელმოწერილია ექიმ ალერგოლოგის მიერ (მ. გოგიტიძე). დასტურდება, რომ საბავშვო ბაღში არსებული მცენარეები შეფასებულია ალერგოლოგის მიერ და დადგენილია, რომ ისინი არ იწვევენ ალერგიულ რეაქციებს. ამით, დაწესებულება აჩვენებს, რომ ითვალისწინებს პოტენციურ ალერგიულ რისკებს და ზრუნავს ბავშვებისა და პერსონალის ჯანმრთელობაზე ამ კონკრეტულ ასპექტში. აღნიშნული დოკუმენტი დაწესებულებამ წარმოადგინა მატრიალურ დეიჯიტის დროს.

ინტეგრირების მოხერხება დამაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ ალერგოლოგის დასკვნა მცენარეების არაალერგიულობის შესახებ დადებითია, მიზანშეწონილია მცენარეების პერიოდული შემოწმება სხვა პოტენციურ რისკებზეც. მაგალითად:

შხამიანობა: არის თუ არა რომელიმე მცენარე შხამიანი შემთხვევითი მიღების შემთხვევაში?

ფიზიკური საფრთხეები: აქვს თუ არა მცენარეებს ბასრი წვეტები ან ეკლები, რამაც შესაძლოა ფიზიკური დაზიანება გამოიწვიოს?

სასურველია, აღიწეროს მცენარეთა ზუსტი რაოდენობა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღის საადმინისტრაციო პროცესი მოიცავს თემის ჩართულობით აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, როგორცაა ბავშვების გაყვანა თემში არსებულ სხვადასხვა ლოკაციაზე. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება, რაც დასტურდება იმით, რომ ბავშვებთან მომუშავე ადმინისტრაციის წევრები აქვთ პირველადი და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგები (რაც დასტურდება სერტიფიკატებით) და იცნობენ უსაფრთხოების წესებს. პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღი პროგნოზირებადი გარემოს შექმნისათვის ბავშვებს აცნობს განრიგს, დროისა და აქტივობების თანმიმდევრულობის აღქმა ბავშვებს დაცულობას აგრძნობინებს. შენობაში ყველგან ვხვდებით მინიშნებებს. როგორც ინტერვიუს დროს აღმზრდელებმა აღნიშნეს, პროგნოზირებადობა ამცირებს ბავშვების პრობლემურ ქცევებს, მათებს თავდაჯერებას. ფიზიკური დათვალიერების დროსაც დადასტურდა ვიზუალური განრიგის ქონა და გამოყენება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მიერ ბავშვის უფლებების ცოდნა და დაცვა დასტურდება პერსონალის მიერ გავლილი ტრენინგებით ბავშვის უფლებების, ბავშვთა დაცვისა და ადრეული განათლების სფეროში, რაც დადასტურებულია სერტიფიკატებითა და ტრენინგის მასალებით. ინტერვიუსას დადგინდა, აღმზრდელები ისეთ სასწავლო პროგრამებსა და აქტივობებს იცნობენ, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში საკუთარი უფლებების გაცნობიერებას და მათ პატივისცემას. აღნიშნულით დასტურდება აღმზრდელების მზაობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებაში მოქმედებს „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანებით №32.114251182.

წესი ადგენს დაწესებულების მიერ ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში განსახორციელებელ პროცედურებსა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) საკითხებს.

წესი შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც ეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცებას“.

წესი აწესრიგებს დაწესებულების თანამშრომლებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის კუთხით.

რეაგირების პროცედურები: მოცემულია ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მასზე შესაბამისი რეაგირების პროცედურები.

დაწესებულების როლი რეფერირების სისტემაში: ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას, როდესაც არსებობს ძალადობის საეჭვო ნიშნები. ბავშვის მდგომარეობის ადგილზე შეფასებას, შემთხვევის გაანალიზებას და ეჭვის საფუძვლიანობისა და გადაუდებლობის დადგენას. შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას (რეფერირებას/გადამისამართებას) პასუხისმგებელ უწყებასთან საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას. ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში.

რეაგირების საფუძველი: საბავშვო ბაღის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია ექვი მიიტანოს ბავშვის მიმართ ძალადობაზე და რეაგირება მოახდინოს საექვო ნიშნებზე, როგორცაა სხეულის დაზიანებები, საექვო ქცევა ან ბავშვის არარეგულარული დასწრება ბაღში.

ეს დოკუმენტი ნათლად აჩვენებს, რომ დაწესებულებას აქვს განსაზღვრული პროცედურები ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებული აქვს პასუხისმგებელი პირები რეფერირების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტები (ადაპტაციისა და ტრანზიციის გეგმები) მიხედვით, „ქოზულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ აქტიურად უწყობს ხელს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციასა და ტრანზიციას, როგორც სახლიდან ბაღში, ასევე ბაღიდან სკოლაში.

დაწესებულება იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს ბავშვის ბაღთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. ეს მოიცავს:

წინასწარი მომზადებას: პოზიტიური განწყობის შექმნა საბავშვო ბაღის მიმართ (საუბარი, წიგნების კითხვა), იმიტირებული დრამატული თამაშები ბაღის გარემოს შესაქმნელად, ბავშვთან წინასწარი საუბარი ბაღში მოახლოებულ ცვლილებებზე.

რუტინის შექმნას: რეკომენდაცია სახლის გარემოში ძილის, კვების, თამაშის რუტინის შექმნისა და ბავშვის ამ პროცესში ჩართვის.

სოციალურ ინტერაქციას: თანატოლებთან წინასწარი გაცნობა, რაც თავდაჯერებულობას უნერგავს ბავშვს.

გაცნობით ვიზიტებს: საბავშვო ბაღის ლოკაციის, გარემოს, შენობის, სააღმზრდელო ჯგუფისა და პედაგოგების წინასწარი გაცნობა, "ღია კარის" დღის მოწყობა.

ინდივიდუალურ მიდგომას: გათვალისწინებულია ეტაპობრივი ადაპტაცია მშობლის თანდასწრებით და ინდივიდუალური შეფასება იმისა, თუ რამდენი ხნით არის საჭირო მშობლის ჯგუფში ყოფნა.

ემოციურ მხარდაჭერას: ბავშვისთვის საყვარელი ნივთის მოტანის შესაძლებლობა, რაც ამცირებს შფოთვის რისკს.

დოკუმენტში მოცემულია ტრანზიციის გეგმა, მოიცავს კითხვებს ბავშვის ადაპტაციის პროცესის შეფასებისთვის (რამდენად დამოუკიდებლად გრძნობს თავს, როგორ გამოხატავს შფოტვას, მონაწილეობდა თუ არა გაცნობით ვიზიტში, როგორია რეაქცია მშობლის წასვლაზე, რამდენად ერთვება აქტივობებში).

ტრანზიციის გეგმა ასევე მოიცავს სკოლაში გადასვლისთვის მზადობის შეფასებას (ბავშვის ინტერესი სკოლის მიმართ, სკოლის გაცნობის შესაძლებლობა, მშობლის შეფასება ბავშვის ემოციური მზადობის შესახებ).

დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს კარგად გააზრებული და სტრუქტურირებული მიდგომა ბავშვის ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესების მიმართ. აქცენტი კეთდება როგორც ბავშვის ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, ასევე, გარემოსთან და პერსონალთან გაცნობაზე. მონიტორინგის ელემენტები ადაპტაციის გეგმაში მიუთითებს იმაზე, რომ პროცესი მონიტორინგის ქვეშაა და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი რეაგირება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ეს ყველაფერი მიუთითებს ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

პოლიტიკის უმთავრესი მიზანია „დაიცვას ბავშვთა, მშობელთა და თანამშრომელთა პირადი ინფორმაცია და უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის უსაფრთხო გამოყენება საბავშვო ბაღის შიდა და გარე საქმიანობაში“. ეს მკაფიოდ აჩვენებს დაწესებულების ვალდებულებას კონფიდენციალურობის მიმართ.

დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. ესენია: ბავშვის სახელი, პირადი ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია.

ნებისმიერი დოკუმენტაცია, ფოტო, ვიდეო მასალა, რომელიც შეიცავს იდენტიფიცირებად პირად მონაცემებს.

თანამშრომლების პირადი ინფორმაცია, CV, საკონტაქტო ინფორმაცია.

ეს დეტალური განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან იგი არ ტოვებს ბუნდოვანებას, თუ რა სახის ინფორმაცია ექვემდებარება დაცვას.

კონფიდენციალურობის პოლიტიკა ვრცელდება საბავშვო ბაღის აღსაზრდელებზე, მშობლებსა და თანამშრომლებზე, რაც უზრუნველყოფს ფართო დაფარვას.

„მშობლის თანხმობის გარეშე არ ხდება ბავშვის ფოტო/ვიდეოს საჯარო გავრცელება“. ეს არის უმნიშვნელოვანესი გარანტია ბავშვის პირადი სივრცის დაცვისთვის და მშობლის კონტროლის უფლების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულია, რომ „კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ ინფორმირებულია საბავშვო ბაღის პერსონალი“. ეს გადამწყვეტია პოლიტიკის ეფექტური აღსრულებისთვის, რადგან სწორედ პერსონალს უწევს უშუალო შეხება კონფიდენციალურ ინფორმაციასთან.

დოკუმენტიდან აშკარაა, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა და დანერგილი აქვს კონკრეტული მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრავს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადგენს მისი გამოყენების წესებს და მოითხოვს მშობლის თანხმობას მგრძნობიარე მონაცემების

(მაგალითად, ფოტო/ვიდეო) საჯარო გავრცელებისთვის. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება სიფრთხილით ეკიდება პერსონალური მონაცემების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების წერილი მერიას. წერილის ნომერი: 32-11425128264
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. წერილის ნომერი: 114-11425139172
3. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნებით ბავშვების დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ;
4. დღის განრიგი;
5. აღმზრდელების სერტიფიკატები ბავშვთა უფლებების ტრენინგებისა;
6. აღმზრდელების რეფლექსიური ჩანაწერები.
7. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანებით №32.114251182

შეფასება:

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქობულეთის N6 ბაღის სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას, მათ შორის კოსმეტიკურ რემონტს, ეზოს სივრცეებად დაყოფას, საქვიშის გაახლებას, საქანელებისა და სასრიალოს შეძენას, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას (სახანძრო დაფის შეძენა) და კარების დემონტაჟს. ასევე, გათვალისწინებულია სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის გაძლიერება და ოჯახისა და თემის მონაწილეობის გაზრდა. სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ დაფინანსების წყარო არის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, ასევე ბაღების გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, არ არის მითითებული კონკრეტული თანხები ან ბიუჯეტი თითოეული აქტივობისთვის. ეს ართულებს იმის შეფასებას, თუ რამდენად სრულად არის ფინანსურად უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმის განხორციელება.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს, რამდენად სრულად არის დაწესებულებების სამოქმედო გეგმები ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი. დოკუმენტები ასახავს საჭიროებებსა და მოთხოვნებს, ასევე დაფინანსების ზოგად წყაროებს, მაგრამ არ ჩანს დეტალური ბიუჯეტირება თითოეული პუნქტისთვის.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ წარმოადგინოს დეტალური ფინანსური გეგმა/საპროგნოზო ბიუჯეტი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტებით იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, შეუძლებელია. არცერთი წარმოდგენილი დოკუმენტი (მაგალითად, მოთხოვნები ავეჯზე, მედიკამენტებზე, ტექნიკაზე, სათამაშოებზე, ლიტერატურაზე...) არ შეიცავს გაწერილ ბიუჯეტს. ვიცით მხოლოდ ცალკეული მოთხოვნების ღირებულება ან მათთვის გამოყოფილი თანხები (მაგ., სათამაშოებისთვის 7870 ლარი, ავეჯისთვის 5350 ლარი). მოთხოვნები (ლიტერატურა, მედიკამენტები, ტექნიკა, სათამაშოები, ავეჯი და ა.შ.) მიუთითებს ბაღის საჭიროებებზე მატერიალური რესურსების კუთხით, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესს და შესაბამისად - კურიკულუმის მიზნებს. თუმცა, ამ მოთხოვნების დაფინანსება, მითითებული ჯამური თანხების არსებობის მიუხედავად (სათამაშოები, ავეჯი), არ იძლევა სრულ სურათს დაწესებულების მთლიანი ფინანსური მდგომარეობისა და იმის შესახებ, რამდენად დაგეგმილი და უზრუნველყოფილია დაფინანსება კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

ამრიგად, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაწესებულება ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და აკეთებს მოთხოვნებს კონკრეტულ მატერიალურ რესურსებზე, რაც, ლოგიკურად, დაეხმარება კურიკულუმის მიზნების მიღწევაში. №6 ბაღის სამოქმედო გეგმაში კი გაწერილია მიზნები და დაფინანსების ზოგადი წყაროები (ადგილობრივი ბიუჯეტი, ბაღების გაერთიანება). თუმცა, იმის დასადასტურებლად, რომ ფინანსური რესურსების განაწილება სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, საჭიროა დეტალური წლიური ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია შემოსავლები და ხარჯები კურიკულუმის მიზნებისთვის, ფინანსური გეგმა, რომელიც აჩვენებს, როგორ უკავშირდება ბიუჯეტის თითოეული პუნქტი კურიკულუმის ამოცანებსა და შედეგებს.

მოწოდებული დოკუმენტაცია ვერ წარმოაჩენს სრულ სურათს დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ წარმოადგინოს დეტალური ფინანსური გეგმა/საპროგნოზო ბიუჯეტი.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს ფინანსური დაგეგმვისა და განკარგვის გარკვეული საწყისი ელემენტები, რაც გამოიხატება სამოქმედო გეგმის არსებობით და კონკრეტული შესყიდვების დოკუმენტირებით. თუმცა, არ ჩანს სრულყოფილი, ინტეგრირებული და გამჭვირვალე ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს დეტალურ დაგეგმვას სტრატეგიული მიზნების მიხედვით, ეფექტურ მონიტორინგს და შედეგებზე ორიენტირებულ ანგარიშგებას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმი.

რჩევა

